



## წევრობის კანდიდატის ხელშეკრულება

ხელშეკრულება იდება ერთი მხრივ, ა(ა)იპ ასოციაცია „ბუნებრივი ღვინო“-ს (ს.ნ.416333248), წარმომადგენლის მისი დირექტორის, ზურაბ მღვდლიაშვილის სახით (შემდგომში - ასოციაცია) და მეორე მხრივ, ასოციაციის წევრს (შემდგომში - წევრობის კანდიდატი) შორის, - \_\_\_\_\_, მისი წარმომადგენლის \_\_\_\_\_ (სახელი და გვარი) -ს სახით. იზიარებს რა, წევრი კანდიდატი ასოციაციის მიზნებსა და ამოცანებს, კერძოდ კი ასოციაცია ბუნებრივი ღვინოს სახელმძღვანელოში განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

### 1. შეთანხმების მიზანი

1.1. წინამდებარე შეთანხმების მიზანია, ჩამოაყალიბოს და დაადგინოს კანდიდატის გაწევრიანების წინაპირობები.

### 2. შეთანხმების პირობები

#### 2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს :

2.1 გაეცნოს „ასოციაციის სახელმძღვანელოს“ (დანართი 1) (შემდგომში - სახელმძღვანელო). დაიცვას სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები.

2.2 სრულყოფილად შეავსოს ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული განაცხადი წევრობასთან დაკავშირებით. (დანართი 5 გამოყენებით)

2.3 საკუთრებაში უნდა ჰქონდეს სულ მცირე 1000კვ/მ მსხმოიარე ვენახი და მარანი, რაც უნდა დასტურდებოდეს მის მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტებით -ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან .

ასოციაცია \_\_\_\_\_

კანდიდატი \_\_\_\_\_



(დასაშვებია მშობლების, დედამიშვილების, მეუღლის, შვილების სახელზე გაფორმებული მარნის და ვენახის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი)

2.4 წევრობის კანდიდატი არ უნდა ფლობდეს ბუნებრივი ვენახის პარალელურად კონვენციურ ვენახს. (კონვენციურ ვენახში იგულისხმება ნებისმიერი ვენახი და მარანი რომლის მოვლაც არ იწარმოება ასოციაციის სახელმძღვანელოს წესების შესაბამისად.

2.5 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აწარმოოს ვენახების მოვლის ჩანაწერები, რომელიც უნდა მოიცავდეს ვენახში ჩატარებულ ყველა სამუშაოს (გასხვლა, მოხვნა, კულტივაცია, გაფურჩქვნა, შეწამვლა და ა.შ.) თაობაზე ინფორმაციას, ასევე - გამოყენებული პრეპარატების და ვენახში შეტანილი ამ პრეპარატების დოზების შესახებ ინფორმაციას.

2.6 ასოციაციაში განევრიანების თაობაზე განაცხადი შეიტანოს 25 აპრილამდე (ბოლო ვადა)

2.7 პირველადი შენატანის ბოლო ვადა 1 მაისი.

### 3 . კანდიდატის საწევრო გადასახადის დაანგარიშება

3.1 იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არის 30 000 მ2 ჰექტრამდე ვენახის მფლობელი, ვენახში ითვლება ნებისმიერი ვენახი საიდანაც მარანი ღვინოს აყენებს და ყიდის. ეს შეეხება როგორც კერძო საკუთრებაში, ასევე იჯარით ან სხვა ფორმით სარგებლობაში არსებულ ვენახებს (იგულისხმება ნაყიდი ყურძენიც).

უნდა ჩარიცხოს პირველადი შენატანი - 150 ლარი .

3.2 30 000 მ2 ჰექტარზე მეტი ვენახის შემთხვევაში, ყოველ 1 ჰექტარზე პირველად შენატანს ემატება 50 ლარი.

3.3 4.2.1 მუხლით გათვალისწინებული ინსპექტირების ჩატარების შემდეგ, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კანდიდატმა, გადაწყვეტილების მიღებიდან 10



სამუშაო დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ასოციაციის საწევრო გადასახადის - დარჩენილი 250 ლარი.

3.4 30 000მ<sup>2</sup> ჰექტარზე მეტი ვენახის ფლობის შემთხვევაში, ყოველ 1 ჰექტარზე წევრი იხდის დამატებით 50 ლარს.

3.5 მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში გაწევრიანებული ახალი წევრების წლიურ საწევრო გადასახადს აკლდება წევრის კანდიდატის მიერ გადახდილი პირველადი შენატანი სრული ოდენობით.

#### 4. მხარეთა უფლება და ვალდებულებები

##### 4.1 ასოციაცია ვალდებულია:

4.1.1 2.2 მუხლის თანახმად შევსებული განაცხადის მიღების შემდეგ, წერილობით დაადასტუროს განაცხადის მიღება და აცნობოს პირველი ინსპექტირების სავარაუდო თარიღი. რაც კანდიდატის ასოციაციაში გაწევრიანების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

4.1.2 ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით, წევრობის კანდიდატი ინსპექტირების ვიზიტის თაობაზე გააფრთხილოს ერთი კვირით ადრე.

4.1.3 ინსპექტირებული წევრობის კანდიდატის განაცხადი განიხილოს 1 - სექტემბრამდე და კანდიდატს სექტემბრის ბოლომდე აცნობოს გაწევრიანების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.

##### 4.2 ასოციაცია უფლებამოსილია:

4.2.1 პირველადი ინსპექტირების შემდგომ, რიგი დაუზუსტებელი მონაცემების ანდა წევრობის კანდიდატზე სხვადასხვა წყაროებიდან დამატებით მიღებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, მოითხოვოს დამატებით ერთწლიანი დაკვირვება ვენახში და კანდიდატი არ მიიღოს ასოციაციის წევრად.

4.2.2 ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კანდიდატთან შეთანხმება თუ კი რაიმე მიზეზით მისი გაწევრიანების წინააღმდეგია ასოციაციის დამფუძნებელ წევრთა ნახევარზე მეტი.



#### 4.3 კანდიდატი უფლებამოსილია :

- 4.3.1 მხოლოდ ერთხელ თქვას უარი ინსპექტირების ჯგუფის ვიზიტზე საპატიო მიზეზით; მეორე უარი ჩაითვლება ამ შეთანხმების ცალმხრივ შეწყვეტად;
- 4.3.2 მიიღოს ინფორმაცია ერთი კვირით ადრე დაგეგმილი ინსპექტირების შესახებ.

### 5 ვადა

- 5.1 შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია ასოციაციის დამფუძნებელთა კრების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

### 6 შეთანხმების დამატებითი პირობები

#### 6. შეთანხმებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

- 6.1 კანდიდატის მიერ შევსებული განაცხადის ფორმა; (დანართი 5)
- 6.2 კანდიდატის საკუთრებაში არსებული სულ მცირე ერთი ვენახის (1000 კვ/მ ან მეტი ფართობის) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 6.3 მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- 6.4 კანდიდატი ასოციაციის წევრად მიღებულად ითვლება წევრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან, რომელიც დაიდება კანდიდატთან შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელთა კრების მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით მიღებული იქნება კანდიდატის გაწევრიანების გადაწყვეტილება.



## 7 მხარეთა რეკვიზიტები

ასოციაცია	კანდიდატი
ასოციაცია ბუნებრივი ღვინო	
416333248	
თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. 16, მე-14 სართული, ოთახი 4.	
ს.ს “თიბისი ბანკი“  ბანკის კოდი: TBCBGE22  ა/ა GE95TB7601236060100001	
დირექტორი:  ზურაბ მღვდლიაშვილი	